



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო  
მინისტრის აპარატი

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის  
სახელმწიფო სტრატეგიის 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების  
შუალედური ანგარიში  
(იანვარი-ივნისი)

თბილისი

## შესავალი

2015 წლის აგვისტოში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. აღნიშნული დოკუმენტი მიზნად ისახავს სამოქალაქო თანასწორობის უზრუნველყოფას, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის გაზრდას/გაუმჯობესებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ხარისხიან განათლებაზე წვდომის გაუმჯობესებას და სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაზრდას, მათი კულტურის მხარდაჭერას, ასევე ტოლერანტული გარემოს განმტკიცებას.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის ეფექტიანად განხორციელების მიზნით შექმნილია და ფუნქციონირებს სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია.

2018 წლის განმავლობაში გაგრძელდა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის იმპლემენტაციის პროცესი; დაიგეგმა და განხორციელდა კონკრეტული ღონისძიებები, რაც მიმართული იყო სტრატეგიით განსაზღვრული პრიორიტეტული შემდეგი მიზნების მისაღწევად:

- ❖ თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში;
- ❖ თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა;
- ❖ ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება;
- ❖ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა.

სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია წარმოდგენილია შემდეგი შემადგენლობით:

- ❖ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;
- ❖ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;
- ❖ სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ❖ სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა;
- ❖ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;

- ❖ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- ❖ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- ❖ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
- ❖ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- ❖ სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია;
- ❖ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- ❖ სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია;
- ❖ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა;
- ❖ ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- ❖ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- ❖ კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- ❖ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- ❖ ქ. ბათუმის მერია;
- ❖ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;
- ❖ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- ❖ სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
- ❖ სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ;
- ❖ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
- ❖ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი.

წინამდებარე ანგარიში ასახავს სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში 2018 წლის სამოქმედო გეგმით (იანვარი-ივნისი) განხორციელებულ ღონისძიებებს.

### სტრატეგიული მიზანი 1. თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის უზრუნველყოფა სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია, რაც თავის მხრივ გულისხმობს მათი წარმომადგენლობის გაუმჯობესებას როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე.

ზემოხსენებული სტრატეგიული მიზნის ფარგლებში დასახული ამოცანების შესრულების მიზნით სხვადასხვა სახელმწიფო უწყებამ განახორციელა რიგი პროექტები და ღონისძიებები. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის, ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით

დასახლებული რეგიონების სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციების მიერ განხორციელებული საქმიანობა.

## შუალედური მიზანი

### 1.1 მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა

#### 1.1.1 მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება

##### 1.1.1.1 დაბადების ან პირადობის არმქონე ან ხარვეზიანი დოკუმენტების მქონე პირებისათვის მოწმობების გასაცემად სათანადო ღონისძიებების გატარება, რაც უზრუნველყოფს მათ დოკუმენტირებას

მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების დაცვა და მათი სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობა სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მათი ჩართულობის გასაძლიერებლად სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში შექმნილია მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური ჯგუფების პრობლემების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებსა და ღონისძიებებს.

საქართველოში მცხოვრები ბოშათა თემის ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის, „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით“ ქვეპროგრამის ფარგლებში 2017-2018 წლებში განხორციელდა არაერთი პროექტი/ღონისძიება. ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის შედეგად შემოვიდა 23 საკონკურსო განაცხადი. აქედან დაფინანსდა ბოშების სოციალიზაციაზე 6 პროექტი (24 464.00ლარი, 54 ბოშა + 111 მოხალისე), მესხების სოციალიზაციაზე 3 პროექტი (17 289.10 ლარი, 28 მესხი + 66 თანატოლი);

არაფორმალური განათლების გზით ხელი შეეწყო საგანმანათლებლო გარემოში ბოშების ჩართულობას. ამჟამად, საჯარო სკოლებში სწავლობს 263 ბოშა;

2018 წლის განმავლობაში იუსტიციის სამინისტრომ განაგრძო ბოშათა რეგისტრაციის პროცესი. გატარდა შესაბამისი პროცედურები დაბადების რეგისტრაციასთან, მოქალაქეობასთან და ასევე, პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების მიზნით. კერძოდ, პროექტის „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირება და მოქალაქეობის არქონის პრევენცია საქართველოში“ ფარგლებში ბოშათა თემის 2 წარმომადგენლისათვის უზრუნველყოფილ იქნა საიდენტიფიკაციო მონაცემების მოწესრიგება და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემა.

2011-2018 (იანვარი-ივლისი) წლის სტატისტიკური მონაცემები ბოშათა რეგისტრაციის შესახებ

საქმისწარმოების კატეგორია	2011-2018
საქართველოს მოქალაქეობის მიღება	1
საქართველოს მოქალაქეობის დადგენა (ID ბარათი)	17
მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენა	18
დაბადების ფაქტის დადგენა/რეგისტრაცია	39
ჯამი	75

1.1.1.2 ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს მუშაობა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიური საქმიანობა განაგრძო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებულმა ეთნიკურ უმცირესობათა საბჭომ. ინტენსიურ რეჟიმში იმართებოდა საბჭოს სხდომები, სადაც განიხილებოდა სხვადასხვა პრობლემური საკითხები. საბჭო აქტიურად თანამშრომლობდა ქ. თბილისის მერიასთან, საკრებულოსთან და თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობებთან. საანგარიშო პერიოდში თბილისის საკრებულოში ჩატარებულია საბჭოს 7 სხდომა, რომელზეც 28 საკითხი იქნა განხილული.

საბჭოს ორგანიზებით, ქ. თბილისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის უფასო სამედიცინო გამოკვლევების ორი აქცია (28.02; 04.07) გაიმართა, რომლის ფარგლებშიც 200-მდე წარმომადგენელმა მრავალპროფილური გამოკვლევებითა და კონსულტაციით უფასოდ ისარგებლა.

საქართველოში მრავალფეროვანი მემკვიდრეობის თემატური კვლევის მიმართულებით გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები:

**1.1.1.4** საქართველოში მრავალფეროვანი მემკვიდრეობის თემატური კვლევები, კერძოდ: „თრიალეთის ბერძნული ძეგლების“ ინვენტარიზაცია "სამცხე-ჯავახეთის კათოლიკური ძეგლების" ინვენტარიზაცია პოლონური მემკვიდრეობის კომპლექსური კვლევა ინვენტარიზაციის დაწყება

- ❖ „თრიალეთის ბერძნული ძეგლების“ ინვენტარიზაცია - შეგროვდა საარქივო მონაცემები;
- ❖ პოლონური მემკვიდრეობის კომპლექსური კვლევა ინვენტარიზაციის დაწყება - გამოცხადდა ტენდერი პოლონური კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაციის კომპლექსური და მულტიდისციპლინარული კვლევის ფარგლებში საარქივო -საინფორმაციო ბაზაში ატვირთვა მისი საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;

**1.1.1.5** საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქ. ბოლნისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების კულტურისა და ტრადიციების გაცნობა ფართო საზოგადოებისათვის/გამოფენის ორგანიზება.

**1.1.1.6** საქართველოში არსებული ებრაული მატერიალური კულტურის ძეგლების მოძიება და ექსპონირება მუზეუმში

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან სსიპ დავით ბააზოვის სახ. საქართველოს მუზეუმში საგამოფენოდ გადმოტანილი იქნება ორი ებრაულწარწერიანი ქვა (XVIII ს).

**1.1.1.7** „მუზეუმი - მშვიდობის სივრცე - კულტურათა დიალოგი“. მუზეუმში ებრაული და ქართული საზოგადოებრიობისა და ორგანიზაციების, შემოქმედებითი და სამეცნიერო სფეროების წარმომადგენელთა ტრადიციული შეხვედრების მოწყობა

მუზეუმში-მშვიდობის სივრცე - კულტურათა დიალოგი“ - ებრაული და ქართული საზოგადოებრიობის, შემოქმედებითი და სამეცნიერო სფეროების წარმომადგენელთა მონაწილეობით ჩატარდა შეხვედრები და განხორციელდა 20-მდე სხვადასხვა ხასიათის აქტივობა.

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქმიანობა:**

2018 წლის განმავლობაში გაგრძელდა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიური ენების სწავლება (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური, უდიური, ასურული);

საქართველოს ლატვიელთა სათვისტომოს „ავე სოლის“ ინიციატივით „თბილისის მეგობრობის სახლში“ ლატვიური ენის შემსწავლელი საკვირაო სკოლა გაიხსნა. ამჟამად ლატვიურ ენას 7-10 წლის კატეგორიის 12 ბავშვი სწავლობს.

## **შუალედური მიზანი: 1.2 გენდერული მენისტრიმინგი**

### **ამოცანა: 1.2.1 გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის ხელშეწყობა**

წლის განმავლობაში სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობაში ჩართულმა სახელმწიფო უწყებებმა განაგრძეს კონკრეტული ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავდა გენდერული ნიშნით უთანასწორობის აღმოფხვრას, ქალთა უფლებების დაცვის ხელშეწყობას, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მხარდაჭერასა და წახალისებას.

**1.2.1.1** ქვემო ქართლის რეგიონში აქტიური საქმიანობა განაგრძო „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში შექმნილმა „ქალთა ოთახებმა“. ზემოაღნიშნული მუნიციპალური მომსახურება ფუნქციონირებს რეგიონის შვიდივე მუნიციპალიტეტში, რომლის მიზანია ქალებისათვის საინტერესო, საჭირო ინფორმაციისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც თავის მხრივ, მათი ჩართულობის ხელშეწყობისათვის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

**1.2.1.3** სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს „ქალთა ოთახები“, რომელთა ინიციატივით და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერით განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიება ქალთა აქტიურობის გაზრდისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით. მოეწყო შეხვედრები ფერმერ ქალებთან, მეწარმე ქალებთან, აგრეთვე ჩატარდა ტრენინგები, სკრინინგ პროგრამის, ოჯახური ძალადობის, ტრეფიკინგის, ადრეული ქორწინების პრევენციის, ქალთა პილიტიკური აქტივობის გაზრდის და ლიდერობის უნარ-ჩვევების განვითარების საკითხებზე;

გენდერული თანასწორობის საკითხებზე მხარის ადმინისტრაციის წარმომადგენელი აქტიურ კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტებში შექმნილ გენდერულ საბჭოებს. ამ კუთხით საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი იყო მხარის ადმინისტრაციის მოწვევით საერთაშორისო ორგანიზაცია GIZ-ის მიერ ჩატარებული ტრენინგების ციკლი გენდერული ბიუჯეტირების საკითხებზე.

**1.2.1.8 – 1.2.1.10** სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია მხარს უჭერს გენდერული თანასწორობისა და ქალების მშვიდობისა და უსაფრთხოების პრინციპების ინტეგრირებას, რომელიც ხორციელდება გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ქალთა საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით. ეროვნული თავდაცვის აკადემიის, როგორც საბაკალავრო, ისე საკარიერო სკოლების სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლებში ჩარიცხულ ყოველ ახალ ნაკადს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს უტარდება სწავლებები თემაზე: „გენდერული თანასწორობის პრინციპები და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები“.

2018 წლის განმავლობაში შეფასებითი ლექცია გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ ჩატარდა IV კურსის 88 იუნკერს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს. ხოლო,

2017-2018 სასწავლო წელს ჩატარდა ორ საათიანი ტრენინგი „გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების“ შესახებ.

**1.2.1.11** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში ხორციელდება დეტექტივ-გამომძიებლის, პატრულ-ინსპექტორთა მომზადების, უბნის ინსპექტორთა მომზადების, მესაზღვრეთა მომზადების და მართლწესრიგის ოფიცრის გადამზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც მოიცავს შემდეგ სასწავლო დისციპლინებს:

- ❖ ადამიანის უფლებები;
- ❖ პოლიცია მრავალენოვანი საზოგადოებაში;
- ❖ საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია;
- ❖ ოჯახში ძალადობა;
- ❖ დისკრიმინაციის დაუშვებლობა და გენდერული თანასწორობა.

მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 31 ივლისის ჩათვლით აღნიშნულ კურსებზე ჩაირიცხა 33 მსმენელი, მათ შორის: ეთნიკურად სომეხი-15, ეთნიკურად აზერბაიჯანელი-12, ეთნიკურად ეიზიდი-4, ეთნიკურად უკრაინელი-2.

**1.2.1.13** საანგარიშო პერიოდში ტრენინგი მოდულით „სკოლებში ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობა“ გაიარა 548 პედაგოგმა (სამოქალაქო განათლების და დამრიგებელმა). ასევე პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ 170 -მა მონაწილემ, სულ 718 პედაგოგი.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა გენდერული თანასწორობის საკითხებთან მიმართებაში განახორციელა ცნობიერების ამაღლების კამპანია. ჩატარდა შეხვედრები, სადაც ყურადღება გამახვილდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა უფლებების დაცვის, მათი საჭიროებების განსაზღვრისა და არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაზე.

**1.2.1.14** მასწავლებელთა დამხმარე პრაქტიკული რესურსის მომზადება გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ - აქტივობა შესრულდება 2018 წლის ბოლომდე.

**1.2.1.15** პროექტი „ახალგაზრდები გენდერული თანასწორობისათვის“ - მოხალისე თანატოლგანმანათლებლებმა ოჯახში ძალადობისა და ადრეული ქორწინების თემაზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებულ რეგიონებში ჩაატარეს შეხვედრები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან - მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან, თემის ლიდერებთან. აღსანიშნავია, რომ შეხვედრები ჩატარდა სახელმწიფო ენაზე, საჭიროების შემთხვევაში დამხმარე ენად გამოიყენებოდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიური ენა. ეთნიკური უმცირესობების ენებზე მომზადდა და გავრცელდა შესაბამისი მასალები. პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებული მობილური ჯგუფის წევრებმა 120 ტრენინგები ჩაატარეს სულ: 3 რეგიონის (11 მუნიციპალიტეტი) 68 სოფელში (3465 ბენეფიციარი). ახალგაზრდა ტრენინგები, ადგილობრივებთან შეხვედრებზე განიხილავდნენ ისეთ თემებს, როგორებიცაა გენდერული სტერეოტიპები, ოჯახში ძალადობის გავლენა ბავშვებზე, ოჯახში ძალადობის ფორმები, ოჯახში ძალადობის გამომწვევი



მიზეზები, რეფერირების მექანიზმები - ცხელი ხაზი და სახელმწიფო სერვისები და სხვა. აღსანიშნავია, რომ შეხვედრები ჩატარდა სახელმწიფო ენაზე, საჭიროების შემთხვევაში დამხმარე ენად გამოიყენებოდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიური ენა.

**1.2.1.16** აპარატის ინიციატივით იურიდიული დახმარების სამსახურთან თანამშრომლობით, ოჯახში ძალადობის საკითხებსა და სახელმწიფო მომსახურების სერვისებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა (ქვემო ქართლი-წალკა, სამცხე-ჯავახეთი - ნინოწმინდა, კახეთი - ახალსოფელი). კამპანიის მიზანი იყო ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართ საზოგადოებაში ნულოვანი ტოლერანტობის დამკვიდრება და ძალადობის ფენომენზე, მიზეზებსა და შედეგებზე, არსებული კანონმდებლობისა და სერვისების შესახებ მოსახლეობისათვის სრული ინფორმაციის მიწოდება.

**1.2.1.18** შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის პროექტის - „საქართველოში ოჯახში ძალადობის შემცირება“ - ფარგლებში ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადდა ბროშურები, სტიკერები და კალენდარი, რომელზეც განთავსებული იყო ძალადობის საწინააღმდეგო გზავნილი და ცხელი ხაზის ნომერი (116 006). მომზადებული მასალები, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან, ადგილობრივი მუნიციპალიტეტებთან და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებთან თანამშრომლობით გავრცელდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში. საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მხარდაჭერით უზრუნველყო ძალადობისაგან დაცვის საკონსულტაციო ცხელი ხაზის (116 006) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. ცხელი ხაზის მეშვეობით შესაძლებელია კონსულტაციის მიღება ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და სექსუალური ძალადობის საკითხებზე. ცხელი ხაზის ხელმისაწვდომობა ქართული ენის გარდა უზრუნველყოფილია დამატებით 7 (ინგლისურ, რუსულ, თურქულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, არაბულ და სპარსულ) ენაზე.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს. აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი და კოორდინირებული სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად 2006 წლიდან ფუნქციონირებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში - ტრეფიკინგთან ბრძოლის საბჭო), რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს იუსტიციის მინისტრი, ხოლო საბჭოს სამდივნოს ფუნქციებს ახორციელებს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტი. ტრეფიკინგთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს პრევენციული ღონისძიებების განხორციელება წარმოადგენს. ამ კუთხით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოწყვლად ჯგუფებს, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს. აღსანიშნავია, რომ

ტრეფიკინგთან ბრძოლის საბჭოს ერთიანი საინფორმაციო სტრატეგიის ფარგლებში 2018 წლის 20 მარტს ახმეტის მუნიციპალიტეტის (პანკისის ხეობა), სოფელ დუისის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლებმა ადგილობრივ მოსახლეობასთან გამართეს საინფორმაციო შეხვედრა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე. შეხვედრას დაესწრო 45 ეთნიკურად ქისტი მოქალაქე. 2018 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამის ფარგლებში, რომელიც შეეხებოდა ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვთა ტრეფიკინგისგან დაცვის მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, გამარჯვებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ 10 დიდ ქალაქში, მათ შორის ახალციხეში საინფორმაციო შეხვედრები ჩატარა ადგილობრივ მოსახლეობასთან. საინფორმაციო შეხვედრების მიზანი იყო საზოგადოების ინფორმირება იმ საფრთხეების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია არასრულწლოვნების ქუჩაში ცხოვრებასთან ან/და მუშაობასთან, მათთვის მოწყალეების გაცემით ბავშვების ქუჩაში ყოფნის წახალისებასთან, ასევე ინფორმაციის მიწოდება მიუსაფარი ბავშვების დაცვის მიზნით არსებულ სახელმწიფო მექანიზმებსა და სერვისებზე. საგრანტო პროგრამის ფარგლებში, მომზადდა ვიდეორგოლი და გავრცელდა საინფორმაციო ბროშურები 6 ენაზე (ქართული, რუსული, ინგლისური, აზერბაიჯანული, თურქული და სომხური).

**1.2.1.19** ქალთა მეწარმეობის გაძლიერების მიზნით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 21 ივლისის №1-1-319 ბრძანების საფუძველზე კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოსთან შეიქმნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის ქვესაბჭო. საერთო ჯამში, 2018 წლის იანვარ-ივლისში გაიმართა ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის ქვესაბჭოს ერთი სხდომა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ქალებისთვის ჩატარდა სასწავლო კურსი „როგორ დავიწყოთ და განვავითაროთ ბიზნესი“. კონკურსის შედეგად შერჩეულ თექვსმეტ მონაწილეს შესაძლებლობა მიეცა აემაღლებინა თეორიული ცოდნა და განევიტარებინა სამეწარმეო საქმიანობის პრაქტიკული უნარები. სერტიფიკატი.

- ❖ სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ორგანიზებით, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალაში, დემოკრატიული გზით არჩეული პირველი მუსლიმი ქალის - ფარი-ხანუმ სოფიევას მემორიალი გაიხსნა. 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ საქართველოს ტერიტორიის ძირითად მაზრებში საეროზო არჩევნები ჩატარდა. მათ შორის თბილისის მაზრაში, ყარაიაზის ოლქში. წამყვანი პარტიების - სოციალ-დემოკრატებისა და ფედერალისტების, “კუმმეთის”, ეროვნულ-დემოკრატებისა და ესერების კანდიდატებს უპარტიო კანდიდატმა, ეთნიკურად აზერბაიჯანელმა მუსლიმმა ქალმა ფარი-ხანუმ სოფიევამ აჯობა და თბილისის სამაზრო ერობის მეხუთე ხმოსანი გახდა ყარაიაზის ოლქიდან. მის სახელს მიაწერენ არაერთ საქმეს. მათ შორის, მშობლიურ სოფელში რკინიგზის სადგურის აშენებას.

- ❖ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით პანკისის ხეობის სოფელ დუისში გაიმართა ღონისძიება;

**შუალედური მიზანი: 1.3 სახელმწიფო ადმინისტრირებისა და სამართალდამცავი ორგანოებისა და მექანიზმების ხელმისაწვდომის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის**

**ამოცანა: 1.3.1 ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის არ მცოდნე მოქალაქეებისათვის არასახელმწიფო ენაზე შედგენილი დოკუმენტების თარგმნაში ხელშეწყობა-საჭიროებისამებრ**

**1.3.1.1.** 2018 წლის განმავლობაში სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციასა და მუნიციპალიტეტებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართებზე რეაგირება ხდებოდა კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მოქალაქეებს არ შექმნიათ დაბრკოლება ენობრივი ბარიერის გამო, საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდება ხორციელდებოდა მათთვის გასაგებ ენებზე. ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში ჩართულ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ საჯარო მოხელეებს კი, საჭიროების შემთხვევაში ეძლეოდათ შესაბამისი ზეპირი განმარტებები მშობლიურ ან მათთვის გასაგებ ენებზე.

2018 წელს აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა სამცხე-ჯავახეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით. შესაბამის თემატურ სამუშაო ჯგუფებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მაქსიმალურ ჩართულობას უზრუნველყოფდა სომხურენოვანი თარჯიმანი.

**ამოცანა: 1.3.2 ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობის გაუმჯობესება სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციაში**

**1.3.2.1 – 1.3.2.2** „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში 2016 წლის 6 სექტემბერს, გუბერნატორის №61 განკარგულების საფუძველზე ქვემო ქართლის რეგიონში შეიქმნა ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემატიკის შესახებ სათათბირო საბჭო. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული საბჭოს ეგიდით რეგიონში ჩატარდა სხდომები. სხდომებში მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობების, არასამთავრობო სექტორის, მედიის, ცენტრალური ხელისუფლების, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. სხდომებზე განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორცაა სასმელი და სარწყავი წყალით უზრუნველყოფა, გარე განათება, სკოლამდელი დაწესებულებების საჭიროება, სოფლად მცხოვრები ქალების დასაქმება ეკონომიკური

გაძლიერება, სახელმწიფო ენის სწავლების ხელმისაწვდომობა, ქალთა პოლიტიკური ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და სხვა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კახეთის რეგიონში გაიმართა ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესების საბჭოს სხდომა. აღნიშნული საბჭოს მიზანია რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება, მათი ინტერესების გათვალისწინება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ განხორციელებული პროექტების, პროგრამების, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას და სხვა. ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების, ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა განიხილეს რეგიონში სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში არსებული გამოწვევები (ინფრასტრუქტურული პრობლემები, სახელმწიფო ენის სწავლება, სოციალური დახმარება და სხვა.) და იმსჯელეს ამ მიმართულებით დაგეგმილ კონკრეტულ საქმიანობებზე.

#### **1.3.2.3-1.3.2.4 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლი ახალგაზრდების ჩართულობის გაუმჯობესება**

2017 წლის 14 დეკემბერს ცვლილება შევიდა „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №410 დადგენილებაში. კერძოდ, განისაზღვრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის საჯარო უწყებებში სტაჟირების გავლის პროცედურები. განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებს, რომელთაც გავლილი აქვთ „ქართულ ენაში მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა“ შესაძლებლობა მიეცათ საჯარო სტრუქტურებში სტაჟირების გავლის გზით მიიღონ სათანადო გამოცდილება და განივითარონ პროფესიული უნარ-ჩვევები, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჩართულობასა და სამოქალაქო ინტეგრაციას. პროგრამის ფარგლებში, შერჩეულმა „1+4“ საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე 142-მა (ხოლო 2017 წელს, საპილოტე პროგრამის ფარგლებში - 65) ახალგაზრდამ სტაჟირება გაიარა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში.

**1.3.2.6** 2018 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობდა სამოქალაქო სექტორთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან, სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან. ასევე სახელმწიფო მინისტრის აპარატს მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობასთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

### ამოცანა: 1.3.3 საზოგადოებრივი სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის

**1.3.3.1** ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების საზოგადოებრივ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, 2018 წლის იანვრიდან ივლისის თვის ჩათვლით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებულ რეგიონებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ უზრუნველყო საზოგადოებრივი სერვისებისა და მიმდინარე სახელმწიფო პროგრამების შესახებ საინფორმაციო მასალების გავრცელება. აღნიშნული მასალები საზოგადოებრივი ცენტრების, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებისა და იუსტიციის სახლის მეშვეობით გავრცელდა. ერთ საზოგადოებრივ ცენტრში გავრცელებული ბუკლეტების რაოდენობა შეადგენდა საშუალოდ 80-100 ერთეულს. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ პუნქტებში მდებარე საზოგადოებრივი ცენტრების (მუხაესტატეს, ჩაქვის, დიდი ჯიხაიშის, მარტყოფის, სადახლოს და გლდანის საზოგადოებრივი ცენტრების) მეშვეობით, გავრცელდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიურ ენაზე შედგენილი ბუკლეტებიც. აღნიშნული ბუკლეტები მოამზადა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ საგრანტო პროგრამის - „ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვთა ტრეფიკინგისგან დაცვის მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება“ ფარგლებში. აღნიშნულ საზოგადოებრივ ცენტრებში, ჯამში გაიცა 800 ცალზე მეტი საინფორმაციო ბროშურა - სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. ასევე, საანგარიშო პერიოდში 1300-მდე მსგავსი ბუკლეტი გავრცელდა ბოლნისის, გარდაბნის, საგარეჯოს და ნინოწმინდის საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობითაც. 2018 წლის იანვრიდან დღემდე, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში ჯამში გაიცა 1300 ერთეული საინფორმაციო ბროშურა ვიზა ლიბერალიზაციის შესახებ, რომელიც პასპორტებთან ერთად გაიცემოდა ქართულ ენაზე.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის უშუალო ჩართულობითა და ორგანიზებით გაგრძელდა საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრების მნიშვნელოვან ფუნქციას სერვისებზე ხელმისაწვდომობასთან ერთად, სოფლად სამოქალაქო ჩართულობის სტიმულირება წარმოადგენს. შესაბამისად, 2018 წლის განმავლობაში საზოგადოებრივი ცენტრების შეხვედრების ოთახებში ჩატარდა სხვადასხვა სახის საინფორმაციო, შემეცნებითი და კულტურული ღონისძიებები, ტრენინგები და სემინარები; მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების, გენდერული თანასწორობის, ადრეული ქორწინების, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, მიგრაციის, ტრეფიკინგის, ევროინტეგრაციის და უვიზო მიმოსვლის, სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის საკითხებზე.

**1.3.3.5** მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (იანვარი-ივლისი) ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებული რეგიონების მოსახლეობის ინფორმირება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ სსიპ-ის „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო. აღნიშნულ

პერიოდში (იანვარი-ივლისი), ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოქალაქეებისთვის 25-მდე ღონისძიება გაიმართა, რომლის ფარგლებშიც 1450-მდე ადამიანთან შედგა პირდაპირი კომუნიკაცია. შეხვედრები ჩატარდა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში, (მარნეული, ბოლნისი, ახალქალაქი, ნინოწმინდა, პანკისი და სხვ).

სამცხე-ჯავახეთში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა სხვადასხვა სახის აქტივობები, კონკრეტულად: კონკურსები ქალაქ ახალქალაქის სამხატვრო დარბაზში და ქალაქ ნინოწმინდის კულტურის სახლში; „ევროპის დღე“ (კონცერტი, გამოფენა, საინფორმაციო აქცია) ნინოწმინდის კულტურის სახლში; ასევე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის მოეწყო სასწავლო ვიზიტი ქუთაისის სამხედრო ბაზაზე; ადგილობრივი მოსახლეობისთვის ჩატარდა საინფორმაციო კამპანია ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში.

ასევე, პროექტის „ადამიანის უფლებები და ევროპული ფასეულობები“ - ფარგლებში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ხუთი შეხვედრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის.

უვიზო მიმოსვლის წესების შესახებ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა ქვემო ქართლის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მაისის თვეში „ევროპის დღეები 2018“-ის ფარგლებში გაიმართა შემდეგი ღონისძიებები: სემინარი „მასწავლებელი - მეგზური ევროპისკენ“ და თბილისისა და რეგიონალური სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის ორდღიანი სემინარის „ევროპული ახალგაზრდობა“ - ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა აქტიურად მიიღეს მონაწილეობა.

**1.3.3.6** პროექტი „ახალგაზრდა ევროპელი ელჩები“ - პროექტი განხორციელდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოს გაეროს ასოციაციის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, რომელსაც მხარს უჭერს სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი. პროექტის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის შესახებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მათთვის გასაგებ ენებზე. ახალგაზრდებისგან შემდგარმა მობილურმა ჯგუფმა, რომლებმაც გაიარეს სპეციალურად მათთვის დაგეგმილი თემატური სკოლა, ქვემო ქართლის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მაცხოვრებელს მიაწოდეს ინფორმაცია საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესისა და მისგან მომდინარე სარგებლის შესახებ. 3 რეგიონის (10 მუნიციპალიტეტი) 56 სოფელში, ჩატარდა 80 - ტრენინგი (2133 ბენეფიციარი).

**1.3.3.7** ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა საბჭოს ბაზაზე შეიქმნა ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელიც ჩართულია დედაქალაქის საკრებულოს ახალგაზრდული პოლიტიკის იმპლემენტაციის პროცესში. მ/წლის 12 თებერვალს, საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ორგანიზებით, თბილისში პირველი ახალგაზრდული ფორუმი გაიმართა,



რომელშიც მონაწილეობა დედაქალაქში მცხოვრებმა ეთნიკური უმცირესობის ოთხმა (უკრაინელი, ასირიელი, სომეხი, აზერბაიჯანელი) წარმომადგენელმა მიიღო.

**1.3.3.11** ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფს ტურიზმის სფეროში არსებული სიახლეების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, როგორცაა: ახალი ტურისტული პროდუქტი, ღონისძიებები, ახალი ტურისტული ობიექტები, ტურისტული შეთავაზებები და სხვა. ინფორმაციის მიწოდება ხდება ადმინისტრაციის ბაზაში არსებული ტურისტული ობიექტებისათვის (სასტუმრო, კვების ობიექტი, ტურისტული ატრაქცია და სხვა). გავრცელებული ინფორმაცია (2018 წლის იანვარი-ივლისის მანაცემით) შეადგენს ჯამში 163-ს.

- ❖ სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებული ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის გზით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, კახეთი - პანკისის ხეობა) მიეწოდათ ინფორმაცია სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების შესახებ, მათ შორის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის, ეკონომიკური და ფინანსური პროგრამებისა და სიახლეების შესახებ (ჩატარდა 50-ზე მეტი შეხვედრა).

#### **ამოცანა: 1.3.4. საჯარო ადმინისტრირებასა და საჯარო სამსახურში ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობის გაზრდა და პროფესიული განვითარება**

**1.3.4.5** სტაჟირების პროგრამა ეთნიკური უმცირესობებისთვის თბილისის საკრებულომ გასულ, 2017 წელს დაიწყო. პროგრამა წელსაც გაგრძელდა და ამჟამად თბილისის საკრებულოს იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილებებში ეთნიკურად იეზიდო და რუსი ორი ახალგაზრდა სამთავროს სტაჟირების კურსს გადის (01.06-01.09). აღსანიშნავია, რომ საკრებულოში სტაჟირებას ასევე გადის შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ადმინისტრირებული „1+4 სტაჟირების პროგრამის“ ოთხი გამარჯვებული.

#### **შუალედური მიზანი: 1.4 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მომწილეობის წახალისება პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში**

##### **ამოცანა: 1.4.1 ეთნიკური უმცირესობათა მიერ ხმის მიცემისა და ინფორმირებული არჩევნის გაკეთების უზრუნველყოფა**

**1.4.1.1-1.4.1.3/1.4.1.5** ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისათვის თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა.

2018 წელს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნებისათვის მნიშვნელოვანი იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა არჩევნებში თანასწორი და აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) განახორციელა შემდეგი მნიშვნელოვანი აქტივობები:

- ❖ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადდა და დაიბეჭდა სხვადასხვა საარჩევნო დოკუმენტაცია<sup>1</sup>;
- ❖ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადდა და რეგიონული ტელევიზიების ეთერში განთავსდა ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ 15 ვიდეო-რგოლი;
- ❖ საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით, ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში ამომრჩევლებს მიეწოდებოდათ ინფორმაცია სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.
- ❖ ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.cesko.ge](http://www.cesko.ge)) კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისათვის ამომრჩეველთა ერთიანი სიაში საკუთარი მონაცემების გადამოწმება შესაძლებელი იყო სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.
- ❖ ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა საინფორმაციო კამპანია, გავრცელდა შესაბამისი საინფორმაციო მასალები;
- ❖ განხორციელდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა გადამზადება საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით;
- ❖ საგრანტო კონკურსის დაფინანსების პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობის ხელშეწყობა საარჩევნო პროცესში<sup>2</sup>. ცესკოსთან არსებულმა სსიპ – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა (სწავლების ცენტრი), საგრანტო კომისიის გადაწყვეტილებით, დააფინანსა არასამთავრობო ორგანიზაციების 10 პროექტი საერთო ღირებულებით - 219 062 ლარი.
- ❖ საარჩევნო ადმინისტრაციამ და ცესკოსთან არსებულმა სწავლების ცენტრმა განახორციელა შემდეგი საინფორმაციო-სასწავლო პროექტები: „საარჩევნო განვითარების სკოლა“, „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“, „საარჩევნო სამართალი“, „ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი“;

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული 12 საოლქო საარჩევნო კომისიაში შექმნილი იყო 346 საარჩევნო უბანი: ქართულ-აზერბაიჯანული – 209 უბანი; ქართულ-სომხური – 133 უბანი; ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული – 4 უბანი. საქართველოს მასშტაბით, ტრენინგები

<sup>1</sup> საარჩევნო ბიულეტენი; ამომრჩეველთა ერთიანი სია; ბიულეტენის შევსების წესი; კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი; საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია; საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სამახსოვრო ინსტრუქცია; საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის უფლებამოსილებები კენჭისყრის დღეს; ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციები; ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციები; საარჩევნო ყუთის და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციები; გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრის ფუნქციები; სასწავლო მოდული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის არჩევნების უსაფრთხოება; ინსტრუქცია და ვიდეო რგოლი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის შშმ ამომრჩევლებთან საუბრის ეტიკეტისა და ქცევის ნორმების დაცვის შესახებ; საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სასწავლო ფილმი „კენჭისყრის დღის პროცედურები“;

<sup>2</sup> ცესკოს 2018 წლის 22 იანვრის №9/2018 განკარგულებით განისაზღვრა საგრანტო კონკურსის დაფინანსების მიმართულებები; ცესკოს 2018 წლის 6 აპრილის №93/2018 განკარგულებით განისაზღვრა საგრანტო კონკურსის დაფინანსების მიმართულებები;



ჩატარდა საუბნო საარჩევნო კომისიის 43 352 წევრს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ 1639 წევრს (ეთნიკურად სომეხი – 762 წევრი; ეთნიკურად აზერბაიჯანელი – 877 წევრი);

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში გააქტიურდა საზოგადოებრივ-საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობა, რის შედეგადაც ხელი შეეწყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობას. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს არ შექმნიათ პრობლემები სახელმწიფო ენის არცოდნის გამო, მათ მიეწოდებოდათ შესაბამისი ზეპირი განმარტება სახელმწიფო ან მათთვის გასაგებ ენაზე.

## **შუალედური მიზანი: 1.5. ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის მასმედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება**

### **ამოცანა: 1.5.1 ეთნიკური უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამებისა და ელექტრონული/ბეჭდვითი მედიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს ეკისრება წამყვანი როლი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიერ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით.

ტელემაუწყებლობა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაგრძელდა საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გადაცემა „მომამის“ 18:00 და 20:00 საათიანი გამოშვების ტრანსლირება ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენის მატარებელი ხმოვანი ბილიკების თანხლებით. აღნიშნული პროექტი - „გასაგებ ენაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობებისთვის“ - რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივი ინიციატივაა, რომელიც ხორციელდება აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ქოლგის ქვეშ ამოქმედდა შვიდენოვანი (ქართული, აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული, ინგლისური და რუსული) ვებ-პორტალი - [www.1tv.ge](http://www.1tv.ge).

რადიომაუწყებლობა. 2018 წლის განმავლობაში ეთერში გადიოდა ყოველკვირეული რადიო-გადაცემა „ჩვენი საქართველო“ (ქრონომეტრაჟი - 40წთ). გადაცემის თემატიკა მრავალფეროვანი იყო და მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორცაა: სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით არსებული სირთულეები, საქართველოს ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება, სხვადასხვა ეთნოსების კულტურა, არსებული გამოწვევები, ტრადიციები და თავისებურებები.

ასევე, რადიო 2-ის ეთერში გაგრძელდა ქურთულენოვანი (ქრონომეტრაჟი - 25წთ) ყოველკვირეული საინფორმაციო-შემეცნებითი-გასართობი გადაცემა.

წლის განმავლობაში სახელმწიფოს მხარდაჭერით გამოიცა სომხურენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „ვრასტანი“ (102 ნომერი, 3500 ტირაჟი) და აზერბაიჯანულენოვანი ყოველკვირეული გაზეთი

„გურჯისტანი“ (93 ნომერი; ტირაჟი 2000). გაზეთები გავრცელდა როგორც თბილისში, ისე ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაწესებულებებში.

## შუალედური მიზანი 1.6: ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა

ამოცანა: 1.6.1 „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩო კონვენციის შესრულება და „რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ“ ევროპული ქარტიის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა

1.6.1.2 აპარატის ორგანიზებით და მონაწილეობით შეხვედრები გაიმართა, სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის, ეთნიკური უმცირესობების უფლებებისა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის, უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის, გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და ოჯახში ძალადობის, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებიდან მომდინარე სარგებელის, უვიზო მიმოსვლის შესახებ. ეთნიკური უმცირესობების ენებზე მომზადდა და გავრცელდა სხვადასხვა შინაარსის მასალები.

## სტრატეგიული მიზანი 2. თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა

### შუალედური მიზანი 2.1. სოციალური და რეგიონული მობილობის ხელშეწყობა

ამოცანა: 2.1.1 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა

2.1.1.1 საანგარიშო პერიოდში კახეთის მხარეში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან საგარეჯოს, ყვარლის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული ღონისძიებები (სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის შეკეთება, სასმელი წყლის ამქაჩი ტუმბოს მონტაჟი, ჭაბურღილისა და წყალსადენის მოწყობა, ცენტრალური მაგისტრალის შეკეთება, საჯარო სკოლის გარე ფასადის რეაბილიტაცია და სხვა).

2.1.1.3 სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც რეგიონში ხორციელდება ადგილობრივი ფარგლებში. საანგარიშო პერიოდში ეთნიკურ უმცირესობებით დასახლებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში ახალციხის, ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში განხორციელდა შემდეგი პროექტები: საავტომობილო გზებისა და შიდა გზების რეაბილიტაცია, სპორტული მოედნებისა და სკვერების მოწყობა, სანიაღვრე კოლექტორებისა და საყრდენი კედლის რეაბილიტაცია და სხვა

2.1.1.4 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარდა შეხვედრები, რომელსაც ესწრებოდნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები - ადგილობრივი

მოსახლეობა, გუბერნიის ადმინისტრაცია, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, სოფლების რწმუნებულები, მასწავლებლები, სამედიცინო პერსონალი, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები, ახალგაზრდები, სხვა დაინტერესებული პირები. კერძოდ, ივნისი-ივლისის პერიოდში ჩატარდა 5 საინფორმაციო შეხვედრა ქვემო ქართლის რეგიონში - (მარნეული, გარდაბანი, წალკა, დმანისი და ბოლნისი); 5 საინფორმაციო შეხვედრა კახეთის რეგიონში (იორმულანლო, კაბალი, ჩანტლისყურე, დუისი, ყარაჯალა).

**2.1.1.5** C ჰეპატიტის უფასო სკრინინგი ორგანიზებულია მთელი ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის - ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებულ რეგიონებში. ქრონიკული მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის თაობაზე, მოსახლეობის ინფორმირების მიზნით დამზადდა 4000 საინფორმაციო ბროშურა (ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე). 2018 წელს პანკისის ხეობაში ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების გაცნობის მიზნით ჩატარდა საინფორმაციო კამპანია და სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა. კერძოდ,

ქვეყნის მასშტაბით (მათ შორის ახმეტის მუნიციპალიტეტი) იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მუდმივად ხორციელდება მოსახლეობის დაცვა ვაქცინაციით მართვადი ინფექციებისაგან, გეგმიური იმუნიზაციის საშუალებით. მოსახლეობა უზრუნველყოფილია, როგორც გეგმიური ვაქცინებით, ისე ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებითა და სპეციფიკური შრატებით. მიმდინარე წლის თებერვლიდან მასამდე სისტემატურად, ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა წითელას არაგეგმიური აცრები ბრძანებით განსაზღვრულ კონტიგენტში. წითელას არცერთი შემთხვევა პანკისის ხეობის სოფლების მოსახლეობაში არ დარეგისტრირებულა.

პანკისის ხეობის სოფლებში მიმდინარე წლის მასის თვეში დუისში და ჯოყოლოში სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებთან ჩატარებული იქნა საინფორმაციო შეხვედრები ცოფთან, ჰელმინთოზებთან და პირადი ჰიგიენის საკითხებთან დაკავშირებით.

**2.1.1.7** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტომ ღონისძიების ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში გაავრცელა 500-მდე საინფორმაციო ბუკლეტი.

**2.1.1.8** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონების ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში 2018 წელს ჩატარდა 10 საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ადგილობრივი ფერმერები, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

**2.1.2.1** საანგარიშო პერიოდში ქვემო ქართლის მხარეში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან ბოლნისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები (წყაროსა და ამბულატორიის რეაბილიტაცია,

სასწრაფო სამედიცინო დახმარების შენობის მშენებლობა; წყალმომარაგების ქსელის რეზერვუარისა და საქაჩი სადგურის მოწყობისა და გზებზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები).

**2.1.2.3** კახეთის რეგიონში წლის განმავლობაში ბენეფიციარებს სხვადასხვა კუთხით გაეწია სოციალური დახმარება, მათ შორის: სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების დაფინანსება, ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება, ახალშობილთა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვ.

2018 წლის 7 თვის განმავლობაში ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარების პროგრამით ისარგებლა 607 ბენეფიციარმა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია 541 მოქალაქე, გახარჯული თანხა შეადგენს 129632 ლარს. ახალციხის მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარების პროგრამით ისარგებლა სულ 1547 ბენეფიციარმა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობის 477 წარმომადგენელმა, გახარჯული თანხა შეადგენს 152 664 ლარს. ახალქალაქის მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარების პროგრამით ისარგებლა 783 ბენეფიციარმა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობის 685 წარმომადგენელმა, გახარჯული თანხა შეადგენს 265 230 ლარს.

ქვემო ქართლის რეგიონში წლის განმავლობაში ბენეფიციარებს სხვადასხვა კუთხით გაეწია სოციალური დახმარება, მათ შორის: სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების დაფინანსება, ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება, ახალშობილთა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვ.

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში გაგრძელდა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (გაზიფიკაცია, შიდა გზების, საირიგაციო და სასმელი წყლის სისტემების, გარე განათების რეაბილიტაცია და სხვა).

### **სტრატეგიული მიზანი 3: ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება**

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესებას, რაც სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

განათლების თითოეული საფეხური ხელმისაწვდომია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. უზრუნველყოფილია ასევე, მშობლიურ ენებზე განათლების მიღების შესაძლებლობა (აზერბაიჯანული, სომხური, რუსული). საქართველოში ფუნქციონირებს 211 არაქართულენოვანი საჯარო სკოლა და 76 არაქართულენოვანი სექტორი. მათ შორის - 82 აზერბაიჯანულენოვანი, 118 სომხურენოვანი, 11 რუსულენოვანი სკოლები. ასევე ქართულ-აზერბაიჯანული სექტორი - 32, ქართულ-რუსული სექტორი - 29, ქართულ-სომხური სექტორი-10, ქართულ-აზერბაიჯანულ-რუსული სექტორი - 1, ქართულ-რუსულ-სომხური სექტორი -1.

**შუალედური მიზანი: 3.1** სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის

**ამოცანა: 3.1.1** სკოლამდელი განათლების პროგრამის შემუშავება, სასწავლო რესურსების მოძიების შექმნა, აღმზრდელ-მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამების მომზადება

**3.1.1.2** წალკის მუნიციპალიტეტის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებულ სოფელ კიზილკილისაში უკვე დასასრულს უახლოვდება საბავშვო ბაღის მშენებლობა. პროექტისთვის გამოყოფილია 200 ათას ლარზე მეტი

**3.1.1.6** ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების უზრუნველყოფის მიზნით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების და აღმზრდელ - პედაგოგის პროფესიული სტანდარტი ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

**შუალედური მიზანი: 3.2** ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა როგორც სახელმწიფო, ასევე მშობლიურ ენებზე

**ამოცანა: 3.2.1** ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება-განვითარება ხარისხიანი ორენოვანი განათლების დანერგვის ხელშესაწყობად

**3.2.1.2** სკოლის გამოსაშვებ გამოცდაზე გავიდა 3341 მოსწავლე (საგამოცდო ენად აირჩია სომხური, აზერბაიჯანული ან რუსული ენა).

**ამოცანა: 3.2.2** არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა

**3.2.2.1** საგნის გამოცდაზე და საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების ტესტირებაზე სომხური, აზერბაიჯანული ან რუსული ენა საგამოცდო ენად აირჩია 1202 აპლიკანტმა.

**3.2.2.2** ლიდერობის აკადემია 1, 2 და 3-ის ფარგლებში, 2017 წელს ითარგმნა და რედაქტირდა ლიდერობის აკადემია 1-ის ტრენინგმოდულები 1-3 (ჯამში 40 სთ) და ლიდერობის აკადემია 2-ის ტრენინგმოდულები 1-6 (ჯამში 80 სთ). ლიდერობის აკადემია 3-ის ტრენინგმოდულები 1-2 (ჯამში 40 სთ) თარგმანი დაიწყო 2018 წლის სექტემბერში. ლიდერობის აკადემია 1-ის ფარგლებში ტრენინგები ჩატარდა 2017 წლის ოქტომბერში და ტრენინგს დაესწრო 171 (81%) არაქართულენოვანი დირექტორი. ლიდერობის აკადემია 2-ის 1-2 მოდულების ფარგლებში ტრენინგები დაიწყო 2017 წლის დეკემბერში და დასრულდა 2018 წლის მაისში. ტრენინგს დაესწრო 143 (85%) დირექტორი და 124 (81%) ფასილიტატორი. ასევე, მიმდინარე წლის აგვისტო-ოქტომბრის პერიოდში დაგეგმილია ლიდერობის აკადემია 2-ის ტრენინგმოდულების 3-6 ჩატარება.

**3.2.2.3** 2018 წლის ივნისში დასრულდა საგნობრივი მეთოდის ყველა (6) მოდულის თარგმნა და რედაქტირება აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე.



**3.2.2.4** ზოგადპროფესიული კურსის მესამე („სასწავლო პროცესის პოზიტიური მართვა და მზაობა პროფესიული განვითარებისთვის“) მოდულის მიხედვით ტრენინგები ჩატარდა 2018 წლის აპრილი - მაისის პერიოდში და გადამზადდა 1421 (68%) არაქართულენოვანი მასწავლებელი.

**3.2.2.5** პროგრამა „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება“ ასევე ითვალისწინებს სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების საკადრო დეფიციტის დაძლევას. ამ მიზნით სკოლებში მივლინებულ იქნა მასწავლებელთა სამი ჯგუფი:

- ❖ 117 კონსულტანტ-მასწავლებელი;
- ❖ 111 დამხმარე მასწავლებელი;
- ❖ 50 ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი;

საანგარიშო პერიოდში ტრენინგი მოდულით „სკოლებში ბუღინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობა“ გაიარა 548 პედაგოგმა (სამოქალაქო განათლების და დამრიგებლებმა), ასევე, პროგრამა ასწავლე საქართველოსთვის 170-მა მონაწილემ (ჯამში 718 მასწავლებელი).

### **შუალედური მიზანი: 3.3 უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა**

#### **ამოცანა: 3.2.1 საშეღავათო პოლიტიკის უზრუნველყოფა და მხარდაჭერა**

**3.3.1.1** ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით 2010 წლიდან მოქმედებს „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“, რომელზე ჩარიცხვაც ხორციელდება ზოგადი უნარების აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი ან სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების რაოდენობა, 2010 წელთან შედარებით ექვსმაგია.

2018 წელს ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე, სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 1231-მა აბიტურიენტმა:

- ❖ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე - 806;
- ❖ ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე - 424;
- ❖ ზოგადი უნარების ოსურენოვანი ტესტის საფუძველზე - 1;

სახელმწიფო სასწავლო გრანტი 2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე მოიპოვა 190-მა აბიტურიენტმა:

- ❖ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე - 96;
- ❖ ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე - 93;
- ❖ ზოგადი უნარების ოსურენოვანი ტესტის საფუძველზე - 1;

**3.3.1.3/3.3.1.8** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ცნობიერების ამაღლების კამპანიას უმაღლესი განათლების სფეროში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის განკუთვნილი შეღავათებისა და შესაძლებლობების შესახებ. გაიმართა შეხვედრები „ქართულ ენაში მოსამზადებელი სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამის“ - „1+4 პროგრამის“ თაობაზე. საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის წარმომადგენლები

**3.3.1.6** ზოგადი უნარების ტესტი აირჩია: აზერბაიჯანულენოვანი - 1581 აბიტურიენტმა; სომხურენოვანი - 602 აბიტურიენტმა; ოსურენოვანი - 4 აბიტურიენტმა; რუსულენოვანი - 598 აბიტურიენტმა.

**3.3.1.7** ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა სამი შეხვედრა გარდაბნის, ახალქალაქისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში.

**შუალედური მიზანი: 3.4 პროფესიული და ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფა**

**ამოცანა: 3.4.1 პროფესიულ მასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობის გაუმჯობესება, აგრეთვე ზრდასრული მოსახლეობისათვის სახელმწიფო ენის სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

**3.4.1.3** სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება. განათლების თითოეულ საფეხურზე გაგრძელდა იმ პროგრამებისა და პროექტების განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას. არაქართულენოვან სკოლებში განხორციელდა „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამა“. პროგრამის მიზანია არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერების გზით. ასევე პროგრამა ორიენტირებულია (2016-2019წწ.) არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლების, როგორც საგნობრივი გამოცდებისთვის მომზადებაზე, ისე მათთვის სახელმწიფო ენის შესწავლაზე. პროგრამის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლების ორი ნაკადისთვის ჩატარდა სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსი, რომელშიც ჩართული იყო 1080 მსმენელი.

გარდა ამისა, სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით სხვადასხვა უწყების მიერ განხორციელდა კონკრეტული ღონისძიებები: სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში ქართული ენის შემსწავლელი კურსები გაიხსნა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის ეპარქიაში.

სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების მიმართულებით საქმიანობა განაგრძო სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის საჯარო ადმინისტრირების სკოლამ, რომელმაც განახორციელა „სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა“. პროგრამის ფარგლებში საჯარო სექტორში დასაქმებულ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სამხარეო ადმინისტრაციების, განათლების სამინისტროს რესურსცენტრების, საჯარო სკოლების თანამშრომლებსა და ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს უფასოდ ისწავლოს სახელმწიფო ენა სკოლის დაქვემდებარებაში არსებულ 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრს<sup>3</sup> და მობილურ ჯგუფებში, ენის ფლობის A1, A2, A2+, B1, B1+ დონის ფარგლებში.

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ❖ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის გეოგრაფიული არეალის გაფართოების მიზნით გამოცხადდა და ჩატარდა მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსი, რომლის შედეგადაც შეირჩა 4 მასწავლებელი;
- ❖ სკოლა ახორციელებს პროექტს - „პროფესიული განათლების ხელშეწყობა ეროვნული უმცირესობებისთვის“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს და განავითაროს საქართველოში პროფესიული განათლება, დაეხმაროს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, სრულფასოვნად დაეუფლონ სასურველ პროფესიას, აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარების საქმეში. პროექტის ფარგლებში შეიქმნა 10 ჯგუფი, თითოეული 4-კაციანი შემადგენლობით. ჯგუფები მუშაობს B1+ დონის კონკრეტული დარგობრივი მიმართულების სახელმძღვანელოს შექმნაზე;
- ❖ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში დამტკიცდა ორი ახალი დარგობრივი მიმართულების - A2+ დონის პედაგოგებისათვის, B1+ დონის - სამოქალაქო განათლება - პროგრამა, რომლთა ფარგლებშიც სწავლება საპილოტე რეჟიმში განხორციელდა ქუთაისში, სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში, ორ ჯგუფში (სულ ეთნიკური უმცირესობის 26 წარმომადგენელი), მათგან წარმატებულ 18 კურსდამთავრებულს გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატები;
- ❖ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის განვითარების, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების გაცნობის, პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარების, პედაგოგთათვის დარგობრივი მიმართულებით სწავლების განსახორციელებლად ტრენინგის ჩატარებისა და პედაგოგთა შეფასების მიზნით გაიმართა სამუშაო შეხვედრა ქუთაისში: მარტში - 2-

<sup>3</sup> ახალქალაქი, ნინოწმინდა, წალკა, ბოლნისი, დმანისი, მარნეული, გარდაბანი, საგარეჯო, ახმეტა, ლაგოდეხი



- დღიანი, 15 კაცის შემადგენლობით; ივნისში - 4-დღიანი, პროექტში ჩართული 50 პედაგოგისა და რეგიონული სასწავლო ცენტრების ადმინისტრატორთა მონაწილეობით;
- ❖ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით სკოლის 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრში, რომლებიც მდებარეობს საქართველოს სამ რეგიონში: ქვემო-ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი, სწავლა დაასრულა 2017 წელს ჩარიცხულმა 81 ჯგუფის 1072-მა და 2018 წელს ჩარიცხულმა 31 ჯგუფის ეთნიკური უმცირესობების 432-მა წარმომადგენელმა;
  - ❖ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის დასრულებასთან დაკავშირებით 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრში ყოველთვიურად ტარდებოდა საბოლოო გამოცდა (ტესტირება-გასაუბრება), რომელსაც ესწრებოდნენ სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის წარმომადგენლები და გამომცდელები;
  - ❖ სკოლის ათივე რეგიონულ სასწავლო ცენტრსა და მობილურ ჯგუფებში რეგულარულად ხორციელდებოდა სასწავლო პროცესის მონიტორინგი;
  - ❖ 2018 წლის იანვარ-ივლისში სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში ჩარიცხა ეთნიკური უმცირესობების 1564 წარმომადგენელი, შეიქმნა 126 სასწავლო ჯგუფი, მათგან 81 - მობილური ჯგუფი 43 სოფელში;
  - ❖ ივლისის მონაცემებით სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით, 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრსა და მობილურ ჯგუფებში, სწავლებას გადის ეთნიკური უმცირესობების 1255 წარმომადგენელი.
  - ❖ სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიერ განხორციელებულ „საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის“ ფარგლებში გადამზადდა 81 ბენეფიციარი.

**3.4.1.4** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2018 წლის საგაზაფხულო მიღებაზე პროფესიული ტესტირების რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე გავლის მიზნით დარეგისტრირდა 75 პირი.

**3.4.1.5** საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაგრძელდა საქმიანობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიმართულებით. ამ კუთხით, აქტიური საქმიანობა განახორციელა სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ. სკოლის მიზანია საჯარო სამსახურში კვალიფიციური კადრების დეფიციტის დაძლევა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ და მაღალმთიან რეგიონებში საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების გზით, ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის სახელმწიფო ენის სწავლება.

**3.4.1.6** 2018 წლის პირველ ნახევარში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართული ენის მოდულის სწავლებაში ჩართული იყო 32 პირი.

**3.4.1.7** ცვლილება შევიდა „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18

ივნისის №410 დადგენილებაში. კერძოდ, განისაზღვრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის საჯარო უწყებებში სტაჟირების გავლის პროცედურები. განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებს, რომელთაც გავლილი აქვთ „ქართულ ენაში მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა“ შესაძლებლობა მიეცათ საჯარო სტრუქტურებში სტაჟირების გავლის გზით მიიღონ სათანადო გამოცდილება და განივითარონ პროფესიული უნარ-ჩვევები, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჩართულობასა და სამოქალაქო ინტეგრაციას. მიმდინარე წელს პროგრამის ფარგლებში, შერჩეულმა „1+4“ საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე 87 ახალგაზრდამ სტაჟირება გაიარა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში. გამოცხადდა სტაჟირების პროგრამის მესამე ნაკადის მიღება, რომლის ფარგლებშიც შეირჩა 55 ახალგაზრდა. ჯამში საპილოტე პროგრამის ჩათვლით სტაჟირება გაიარა 207 ახალგაზრდამ, აქედან 2018 წლის განმავლობაში 142 ახალგაზრდამ.

**3.4.1.8** ქ.თბილისის საკრებულოს მიერ დაარსებულ „მეგობრობის სახლში“ ქართული ენის სწავლების პროგრამა გრძელდება. აღნიშნული პროექტი პრეზიდენტის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ხორციელდება. პროგრამა 2017 წლის 1 თებერვლიდან დაიწყო და პერმანენტულად მიმდინარეობს. 2017 წ. 132 მსმენელიდან წარჩინებით დაასრულა 110 მსმენელმა და გადაეცათ დამადასტურებელი სერტიფიკატებიც. 2018 წელს შეიცვალა კურსის ხანგრძლივობა და 2 თვეს მოიცავს, მეცადინეოები კვირაში 3 დღე მიმდინარეობს. 205 მსმენელიდან კურსი წარჩინებით დაამთავრა 125-მა (მათგან 54-მა ფრიადზე) და გადაეცათ დამადასტურებელი სერტიფიკატები.

## **სტრატეგიული მიზანი 4. ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს წახალისება**

**შუალედური მიზანი: 4.1 კულტურის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ეთნიკური უმცირესობების როლისა და მნიშვნელობის ასახვა**

**ამოცანა: 4.1.1 ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნებისაკენ მიმართული საქმიანობის გაუმჯობესება; კოორდინაციის უზრუნველყოფა რეგიონულ და ადგილობრივ ერთეულებთან**

**ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს წახალისება**

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა სხვადასხვა პროგრამების/პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება, რაც მიზნად ისახავდა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის დაცვა-განვითარებასა და პოპულარიზაციას. კულტურული თვითგამოხატვის ხელშეწყობისა და შემდგომი ინტეგრირების მიზნით მნიშვნელოვანი იყო მუზეუმებისა და თეატრების საქმიანობის ხელშეწყობა ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფის გზით.

**4.1.1.1** მიმდინარე წლის მარტის თვეში, ა.(ა).ი.პ საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანებამ ნოვრუზ-ბაირამის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით გამართა კონცერტი, რომელშიც

მონაწილეობდნენ ბავშვები და მოზარდები ქართული და აზერბაიჯანულენოვანი საჯარო სკოლებიდან.

2018 წლის განმავლობაში ა.(ა).ი.პ ახმეტის კულტურის ცენტრის მიერ ნაწილობრივ განახლდა წიგნადი ფონდი, მოხდა სამუზეუმო ექსპონატების შევსება, ჩატარდა სხვადასხვა სახის კულტურულ-გასართობი ღონისძიებები.

**4.1.1.2** სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორი სამხარეო ადმინისტრაცია აქტიურადაა ჩართული იმ ღონისძიებების ორგანიზებაში, რომლებიც ხელს უწყობენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში ფუნქციონირებს საკლუბო დაწესებულებები, შექმნილია სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, ფუნქციონირებს სამუსიკო სკოლები. ახალქალაქში და ახალციხეში ფუნქციონირებს სამხატვრო სკოლები, რომლებიც სისტემატიურად მონაწილეობენ ადგილობრივ, რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო გამოფენებში. ამასთანავე, კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებით ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსური მხარდაჭერა და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება. კულტურული ღონისძიებები, რომლებიც ეთნიკურად უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში სამხარეო ადმინისტრაციის ხელშეწყობით ჩატარდა, ხელს უწყობს როგორც ეთნიკური უმცირესობების კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნებას, ისე ინტეგრირებას. საანგარიშო პერიოდში ეთნიკური უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით არაერთი ღონისძიება ჩატარდა, კერძოდ: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში - 16 ღონისძიება, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში - 12 ღონისძიება, ახალციხის მუნიციპალიტეტში - 41 ღონისძიება, ბორჯომის მუნიციპალიტეტში - 4 ღონისძიება, ასპინძის მუნიციპალიტეტში - 2 ღონისძიება.

**4.1.1.3** ეთნიკურ უმცირესობათა სსიპ ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობა

❖ სსიპ მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი

მოეწყო 5 მნიშვნელოვანი ღონისძიება: ნიკოლოზ ბარათაშვილის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, ბავშვების ნამუშევართა გამოფენა, ხოჯალოს გენოციდი - დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა, აზერბაიჯანის და საქართველოს დამოუკიდებლობის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, გამოფენა და კონცერტი

❖ სსიპ დავით ბაზოვის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი

ებრაული და ქართული საზოგადოებრიობის, ორგანიზაციების, შემოქმედებითი და სამეცნიერო სფეროების წარმომადგენლების მონაწილეობით მუზეუმმა 20-მდე აქტივობა განახორციელა.

- ❖ სსიპ პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

სსიპ პეტროს ადამიანის სახელობის სომხური დრამატული თეატრი- სულ ორივე კვარტალში გაიმართა 19 სპექტაკლი, დაესწრო 4701 მაყურებელი, მათ შორის 2 პრემიერა, 7 გასვლითი სპექტაკლი ქვემო ქართლის რეგიონში, ერთი საგასტროლო სპექტაკლი სომხეთში, ერევანში ფესტივალ „არტავაზდის“ ფარგლებში; გაიმართა 5 სპექტაკლი ერევანში.

- ❖ სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

სსიპ ჰეიდარ ალიევის სახ. აზერბაიჯანულმა თეატრმა გამართა 4 სპექტაკლი, მათ შორის, 1 პრემიერა, სამი გასვლითი სპექტაკლი რეგიონებში (მარნეული, ბოლნისი, გარდაბანი). სპექტაკლებს დაესწრო 1150 მაყურებელი.

- ❖ სსიპ ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

სსიპ ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსულმა თეატრმა სულ 80 სპექტაკლი გამართა, მათ შორის 2 პრემიერა, 5 გასვლითი სპექტაკლი რეგიონებში, რომელსაც დაესწრო 2237 მაყურებელი, 4 სპექტაკლი საზღვარგარეთ, რომელსაც 1215 მაყურებელი დაესწრო. სპექტაკლებს დაესწრო 18 141 მაყურებელი.

**4.1.1.4/4.2.1.3** თბილისის საკრებულო, ეთნიკური უმცირესობების საბჭოს მეშვეობით, ჩართულია ეთნიკური უმცირესობების კულტურულ ცხოვრებაში და მათთან ერთად აღნიშნავს ყველა მნიშვნელოვან დღესასწაულს. საანგარიში პერიოდის განმავლობაში 10-მდე სხვადასხვა ღონისძიება ჩატარდა.

**შუალედური მიზანი: 4.2 ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია**

**ამოცანა: 4.2.1 ეთნიკურ უმცირესობათა მატერიალური და არამატერიალური კულტურული ფასეულობების დაცვა**

**4.2.1.1** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანადაფინანსებით, გამოიცა გერმანული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ სამენოვანი პუბლიკაცია - „გერმანელ კოლონისტთა არქიტექტურული მემკვიდრეობა საქართველოში“.

**შუალედური მიზანი: 4.3. კულტურული მრავალფეროვნების წახალისება**

**ამოცანა: 4.3.1 კულტურათაშორისი დიალოგის განვითარება**

**4.3.1.4** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ორგანიზებით ქისტი მწერლისა და პოეტის, მათა მარგოშვილის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. კრებულში, სახელწოდებით „თეთრი ღამეების კავკასიური სონატა“, შესულია ავტორის ლექსები და ნოველები და ილუსტრირებულია ცნობილი ჩეჩენი მხატვრის რუსლან ხასხანოვის ტილოებით.

**4.3.1.5** საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ჩაატარა არაერთი ღონისძიება, მათ შორის იყო ფოტოგამოფენები, კონცერტები, წიგნების პრეზენტაციები. ზემოხსენებული ღონისძიებების მიზანი იყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურული მემკვიდრეობის, ხელოვნებისა და ტრადიციების პოპულარიზაცია, მათი კულტურულ სივრცეში ინტეგრაცია.

**4.3.1.9** კონკურსი ცენტრსა და რეგიონებში კულტურული ღონისძიებების და საერთო კულტურულ ცხოვრებასთან ინტეგრირების ამსახველი კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად

კონკურსში გაიმარჯვა 11-მა პროექტმა, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 5 ღონისძიება (გამოფენები, კონცერტები).

**4.3.1.10** კონკურსი ეთნიკურ უმცირესობათა ყოფა-ცხოვრების და კულტურული თვითმყოფადობის და ქართულ კულტურულ სივრცეში ინტეგრირების ამსახველი ალბომების გამოცემად გამოვლინდა 4 გამარჯვებული პროექტი, რომლებიც განხორციელების პროცესშია.

**4.3.1.11** პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“

4 ლოკაციაზე (ნინოწმინდა, ახალციხე, მარნეული, დუისი) გაიმართა 4 შეხვედრა მწერლებთან და ლიტერატურული ლექციები;

**4.3.1.12** კულტურული მრავალფეროვნების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

21 მაისს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროსთან თანამშრომლობის ფარგლებში, ასევე საქართველოს გაეროს ასოციაციის მხარდაჭერით თბილისის ისტორიის მუზეუმში გაიმართა კულტურული მრავალფეროვნების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში მცხოვრებმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა.

ღონისძიების ფარგლებში 7 მუნიციპალიტეტში (მარნეულში, გარდაბანში, ახალციხეში, ნინოწმინდაში, დუისში, ჯოყოლოსა და ბირკიანში) გაიმართა კონცერტები და თემატური შეხვედრები.

**4.3.1.13** მრავალეთნიკური ხელოვნების ფესტივალი "ერთი ცის ქვეშ - კულტურათა დიალოგი" - 2010 წლიდან სხვადასხვა რეგიონში ტარდება ყოველწლიური მულტიეთნიკური ხელოვნების ფესტივალი "ერთი ცის ქვეშ - კულტურათა დიალოგი", რომელშიც მონაწილეობას იღებენ ქართველი და საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები.

ფესტივალი ტარდება მთელი ქვეყნის მასშტაბით, წლის განმავლობაში კონცერტი გაიმართა ქ. თელავის სამუსიკო სასწავლებელში და ქ. თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში.

**4.3.1.14** სახელმწიფო მინისტრის აპარატის, ქალთა კავშირ „კავკასიელ ქალთა კონგრესის“ ორგანიზებითა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით ქისტი განმანათლებლისა და სასულიერო მოღვაწის, მათე ალბუთაშვილის დაბადებიდან 155 წლისთავისადმი მიძღვნილ ხსოვნის სადამო გაიმართა. ღონისძიებას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა. მწერლის, განმანათლებლისა და სასულიერო მოღვაწის, მათე ალბუთაშვილის დაბადებიდან 155 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში მოსწავლეთა კონფერენცია გაიმართა თემაზე „მათე ალბუთაშვილის ბიოგრაფიული შტრიხები და შემოქმედება: პანკისის ხეობა დროისა და სივრცის ჭრილში“. კონფერენციაში მონაწილეობა თბილისის, დუისის, ჯოყოლოსა და ჩარგლის სკოლების ოცმა მოსწავლემ მიიღო.

**4.3.1.15.12** სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში დაგეგმა და განახორციელა მრავალფეროვანი პროგრამა: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა საჯარო ლექცია, შეხვედრა გაიმართა „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ (1+4 პროგრამის) მონაწილე სტუდენტებსა და სტაჟიორებთან ქ. თბილისში, ასევე წალკის მუნიციპალიტეტის სკოლებში მოსწავლეებთან. საქართველოს გაეროს ასოციაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ოფიციალური მიღება. მიღების ფარგლებში გაიმართა სახელმწიფო მინისტრის აპარატის ახალი პროექტის „გაიცანი მრავალფეროვანი საქართველოს“ ფარგლებში მომზადებული ვიდეო-კლიპების ჩვენება (5 ვიდეო-კლიპი). პროექტის მიზანია, წარმოაჩინოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი წარმატებული, ნიჭიერი, და საინტერესო თანამოქალაქეები. ამავე დღეს, მოძრაობის თეატრის დასის მიერ წარმოდგენილი იყო პერფორმანსი თემაზე „მრავალფეროვანი საქართველო“.

კვირეული დაიხურა მრავალეთნიკური ხელოვნების ფესტივალის "ერთი ცის ქვეშ კულტურათა დიალოგი" ფარგლებში ჩატარებული კონცერტებით ქ. თბილისისა და ქ. ახალციხეში.

**4.3.1.16** ვაინახური კულტურის დღე - სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ქ. ფოთის „ახალი საქართველოს უნივერსიტეტის“ თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა მრავალფეროვანი პროგრამა - შესრულდა მუსიკალური ნომრები, ჩატარდა საჯარო ლექცია ქისტი ხალხის ფენომენზე ქართულ სინამდვილეში და ქართულ-ვაინახურ ურთიერთობებზე, გაიმართა ვაინახურ თემაზე შექმნილი წიგნების პრეზენტაცია.

**4.3.1.17** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით პანკისის ხეობის სოფელ დუისში ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გიგი ხორნაულის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში გაიმართა მისი წიგნების პრეზენტაცია, რომელშიც შესულია მოთხრობები ქისტებზე. მწერალს ყოველთვის მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა ქისტებთან, რაც თავის შემოქმედებაში ასახა კიდევ - მის მოთხრობებში მოთხრობილია ქართველი და ქისტი ხალხების გამორჩეული ძმობისა და მეგობრობის შესახებ.

**4.3.1.21** „ევროპის დღეები 2018“-ის ფარგლებში დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიაში, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით გაიმართა სასწავლო ტური, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პროექტის „ახალგაზრდა ევროპელ ელჩების“ მონაწილეებმა და პანკისელმა მოსწავლეებმა. მოსწავლეები პანკისის ხეობიდან ასევე ეწვივნენ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, სადაც გაეცნენ სამოქალაქო ინტეგრაციის, სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით არსებულ ვითარებას და იმსჯელეს მათთვის საინტერესო საკითხებზე.

**4.3.1.24** საანგარიშო პერიოდში აქტიური საქმიანობა განაგრძო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებულმა „მეგობრობის სახლმა“. „მეგობრობის სახლის“ ხელშეწყობით ჩატარდა 20-მდე კულტურულ-შემეცნებითი სახის ღონისძიება.

**4.3.1.26** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით სახელმწიფო უწყებათშორისი კომისიის სხდომა გაიმართა, სადაც 2017 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში და 2018 წლის სამოქმედო გეგმა განიხილეს. განისაზღვრა კონკრეტული ღონისძიებები და აქტივობები რაზეც კომისია 2018 წლის განმავლობაში იმუშავებს.

- ❖ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით გაიმართა საქართველოში მცხოვრები თანამედროვე აზერბაიჯანელი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა. აზერ მოსაოლლუს, ალი ალიევის, რასიმ გასანოვისა და რიზვან ისმაილოვის სხვადასხვა თემატიკაზე შესრულებულ ნამუშევრებს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმმა უმასპინძლა.
- ❖ სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სხვენში პანკისის ხეობის სოფელ დუისის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ დადგმული სპექტაკლის - "ღია შუშაბანდი" ჩვენება გაიმართა. მასში დამამთავრებელი კლასების 10-მდე მოსწავლე მონაწილეობდა.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელების მიზნით სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერა ხორციელდებოდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში.

